საქართველოს მთავრობის

დადგენილება №130

2017 წლის 15 მარტი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხო ქვეყნის იმ უფლებამოსილ ინსტიტუტთან ხელშეკრულების გაფორმების კრიტერიუმებისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე, რომელიც ახორციელებს საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აღიარებას

მუხლი 1

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34^1 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი სახით დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მიერ უცხო ქვეყნის იმ უფლებამოსილ ინსტიტუტთან ხელშეკრულების გაფორმების კრიტერიუმები და სტანდარტები, რომელიც ახორციელებს საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აღიარებას:

1. ცენტრი ხელშეკრულებას აფორმებს საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აღიარების განმახორციელებელ მხოლოდ უცხო ქვეყნის იმ უფლებამოსილ ინსტიტუტთან, რომელიც:

ა) ახდენს საკუთარი პროგრამების საერთაშორისოდ განხორციელების შეთავაზებას და გასცემს ამ პროგრამების განხორციელების უფლებას;

ბ) პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებისათვის იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებს;

გ) პროგრამის აღიარების პერიოდში, მისი განხორციელების ადგილის მიხედვით უზრუნველყოფს გარე შეფასების სტანდარტების შემოწმებას/მონიტორინგის მექანიზმების გამოყენებას.

2. ხელშეკრულების საფუძველზე შესაძლებელია აღიარებულ იქნეს მხოლოდ ის პროგრამა:

ა) რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

ბ) საზღვარგარეთ აღიარებული სტატუსის შენარჩუნების პარალელურად, საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება ადაპტირებას ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ) რომელსაც აქვს მოსწავლის შეფასების გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული სისტემა;

დ) რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლის შეფასებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობას.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**